ეკატერინე ქარდავა

<u>განათლება</u>

- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი;
- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამართლის ფაკულტეტი, მაგისტრთან გათანაბრებული;

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

- Erasmus+ Jean Monnet Module-ის „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“ ავტორი და ხელმძღვანელი; Jean Monnet Excellence-ის პროექტის ექსპერტი EUPOLTRANS (EU Policy Transposition) კავკასიის უნივერსიტეტში; Jean Monnet მოდულის „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“ ავტორი და ხელმძღვანელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში; განათლების (აკრედიტაციის) ექსპერტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში; ევროინტეგრაციის საკითხების ტრენერი ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში; ევროკავშირისა და ასოცირების შეთანხმების ექსპერტი საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში; ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე; პროექტის- „შრომის სამართლის ყოველთვიური ბიულეტენი და ევროკავშირის ყოველთვიური ბიულეტენი“ ავტორი და დირექტორი; საერთაშორისო ექსპერტი სამართლებრივი აპროქსიმაციის სფეროში (მოლდოვა).
- ლექტორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში შრომის სამართალის, ევროკავშირის სამართალის, სამოხელეო სამართალისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

<u>დამატებითი ინფორმაცია</u>

- იყო პროფესიული საჯარო მოხელე 21 წლის განმავლობაში.3 წელი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, 9 წელი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში, 8 წელი პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოსა და აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგების დროებით კომისიაში ეკავა ისეთი პოზიციები, როგორებიცაა: მთავრობის ადმინისტრაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის სამართლის სამმართველოს უფროსი, ანალიტიკური და ჰარმონიზაციის

სამმართველოს უფროსი, ანალიტიკური სამმართველოს უფროსი, I კატეგორის მრჩეველი საქართველოს მთავრობის კანცელარიის პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის სამმართველოში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, ექსპერტ-კონსულტანტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის რეფერენტი; აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წამყვანი სპეციალისტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მდივან-სპეციალისტი.

- აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება. თანამშრომლობდა შემდგომ უნივერსიტეტებთან: ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. იყო სამართლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელი კავკასიის სამართლის სკოლაში.

- არის 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, წიგნის ავტორი. მისი თანაავტორობით გამოცემულია შრომის სამართლის კოდექსისა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები. არის 20-მდე სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსის მონაწილე; შრომით საამრთლებრივ საკითხებთან დაკავშირებული არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი და მოდერატორი.

- ოფიციალური ვიზიტებით 25-ჯერ იმყოფებოდა ევროპული სახელმწიფოების პარლამენტებში, სამინისტროებში, სააგენტოებში, ევროპულ პარალმენტსა და ევროკომისიაში;

- აქტიურად ახორციელებს სარედაქტორო საქმიანობას სახელმძღვანელოების, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და კვლევების განხორციელების პროცესებში; არის არაერთი საგანმანათლებლო და კვლევით პროექტის ავტორი და მონაწილე; გავლილი აქვს სტაჟირების პროგრამა ლატვიის პარლამენტში, ევროპულ საკითხთა კომიტეტში, ლიტვის პარლამენტის ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში, ევროპულ საკითხთა კომიტეტში;

- არის საჯარო სამსახურის პირველი კლასის მრჩეველი. 2005-დან 2014 წლამდე იყო 9 სამუშაო ჯგუფის წევრი. ამ ჯგუფებს შორის არის მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, საქართველოს შრომის კოდექსის

პროექტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის იმპლემენტაციის სამუშაო ჯგუფი და სხვა.

- ექსპერტის, პროექტის ადმინისტრატორის, ტრენერის, მკვლევარის, კოორდინატორის, ავტორისა და თანაავტორის სახით მონაწილეობა აქვს მიღებული შრომითსამართლებრივ საკითხებთან დაკავშრებულ ათეულობით აქტივობაში.